MES 3 22 0000558709

30/05/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 13.05.2022
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 19:10 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი -** შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ანზორ ბერიძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
4. **ირინა გველესიანი -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. **მაკა კაჭარავა -** სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
6. **ირინა ლობჟანიძე -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
7. **ლევან მოსახლიშვილი** - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის" დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;
8. **ეკატერინე ნაცვლიშვილი -** შპს „ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
9. **თამარ სირაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
10. **დავით ტეფნაძე -** ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);

11. **ეკატერინე შაკიაშვილი -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
12. **გურანდა ჭელიძე -** შპს "კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი.
13. **დავით ჩოჩიშვილი -** სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.
14. **თეა მჭედლური -** სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**თამთა მოხევიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	**თამთა ანთიძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	**ანა ქოიავა**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	სოფიო ხუნდაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	რომან მამულაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	სოფიო უგრეხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ნინო ლაცოშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ზურაბ ჯანხოთელი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
6	ნინო სანადირაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ნინო ქიმერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	სალომე ცისკარიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
9	ქეთევან ოჩხიკიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
10	გიორგი მახარობლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
11	თეიმურაზ პაპასაკირი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
12	ბონდო კუპატაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
13	ივანე მაჩიტიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
14	ირაკლი მანველიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
15	რუსუდან სეთურიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VI

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფინანსების“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „მუზეუმმცოდნეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა;
5. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა;
6. ა(ა)იპ „ჯიპა“ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფინანსების“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „მუზეუმმცოდნეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა;

5. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა;
6. ა(ა)იპ „ჯიპა“ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა;

1. პირველი საკითხი : სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფინანსების“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფინანსები Finances
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფინანსების მაგისტრი Master of Finance
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0412 ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ზანდუკელის №16, თბილისი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას.
საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს, წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა ონლაინ რეჟიმში 2022 წლის 15 მარტს. ონლაინ შეხვედრები ჩატარდა განრიგით განსაზღვრულ ყველა ჯგუფთან, კერძოდ, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პრაქტიკის განმახორციელებლებთან/პოტენციურ დამსაქმებლებთან, საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ონლაინ გასაუბრება განხორციელდა ბიბლიოთეკის წარმომადგენელთანაც. გასაუბრების პროცესში გადამოწმდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგის ფუნქციონირება და კატალოგის საშუალებით გადამოწმდა რამდენიმე სავალდებულო ლიტერატურის ბიბლიოთეკაში არსებობის/ხელმისაწვდომობის საკითხი. ასევე გადამოწმდა ელექტრონული სამეცნიერო ბაზების არსებობა და მათზე წვდომა. ონლაინ გასაუბრება, ასევე, გაიმართა სტუდენტთა საინფორმაციო ბაზაზე პასუხისმგებელ პირთან, გასაუბრების ფარგლებში შეფასდა ბაზის ფუნქციონირების საკითხი, კერძოდ, მოხდა ბაზაში ატვირთული ინფორმაციის, ბაზის შესაძლებლობების შეფასება. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი იყო გარკვეული დამატებითი დოკუმენტაცია, რომლის მიწოდებაც დაწესებულების მხრიდან განხორციელდა დროულად, ვიზიტის დასრულებამდე გარკვეული დროით ადრე. გადაიხედა დაწესებულების მიერ ონლაინ ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომები და სხვა დამატებითი დოკუმენტები. გასაუბრებები წარიმართა თანამშრომლობით გარემოში. ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ძირითადი მიგნებების გაცნობა.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფინანსების“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა – შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა – მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებულ ირეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია დაზუსტდეს შემდეგ სასწავლო კურსებზე, კომპონენტზე დაშვების წინაპირობები: „Capstone პროექტი“, „ეთიკა ფინანსურ სექტორში“, „საინვესტიციო პორტფელის მართვა“.
2. ინვესტიციების მართვის მიმართულებით პროგრამით დადგენილი შედეგების სრულად მიღწევის მიზნით, რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „საინვესტიციო პორტფელის მართვა“ პროგრამის ფარგლებში ისწავლებოდეს სავალდებულო სტატუსით.
3. რეკომენდირებულია რიგ შემთხვევებში სასწავლო კურსის შინაარსისა და დადგენილი შედეგების სათანადოდ მიღწევის უზრუნველსაყოფად უფრო ლოგიკურად იყოს განსაზღვრული საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების მოცულობა.
4. რეკომენდირებულია პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული თანამშორმლობის მემორანდუმებში მოხდეს პრაქტიკის ობიექტზე მისაღები სტუდენტების რაოდენობისა და პრაქტიკის ხანგრძლივობის (ან სილაბუსის პირობების შესრულების ვალდებულების) მითითება.
5. გადასახედია პროგრამის ფარგლებში გამოყენებული ზედმეტად სტანდარტიზებული შეფასების მიდგომები და მეთოდები, რათა განსაკუთრებით პრაქტიკული უნარების შეფასების მიზნით მოხდეს უფრო სათანადო მეთოდების გამოყენება, მაგალითად, როგორიცაა პრაქტიკული სავარჯიშოები და ამოცანები, შემთხვევის ანალიზი და ა.შ.
6. რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამისა და სილაბუსების შეფასების ეტაპზე გაიცეს რეკომენდაციები ზედმეტად სტანდარტიზებულ შეფასების მიდგომებსა და მეთოდებთან დაკავშირებით, რათა მოხდეს სასწავლო კურსების შედეგებზე მეტად მორგება და სტუდენტის უნარების შეფასების მიზნით უფრო სათანადო მეთოდების გამოყენება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თამჯდომარის მოადგილემ, ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა დააზუსტა თუ როგორ შეაფასებდნენ ექსპერტები სამაგისტრო ნაშრომების ხარისხს? ამასთან, აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი არ აქვს პროგრამის ბიუჯეტი.

საბჭოს თავჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა დააზუსტა თუ როგორ განისაზღვრება ხელმძღვანელობის საკითხი სამაგისტრო ნაშრომებთან მიმართებით. ამასთან, საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა მე-3 რეკომენდაცია და დააზუსტა გადის თუ არა სასწავლო კურსი სწავლის შედეგებზე?

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სხვა პროგრამის ფარგლებში მოხდა ნაშრომების შეფასება, ასევე გამოთხოვილ იქნა შესრულების წესიც. ექსპერტთა მხრიდან ნაშრომები შეფასდა დადებითად, მოცემული იყო მხოლოდ მცირე ტექნიკური ხარვეზები ციტირებასთან დაკავშირებით, რაც აისახა რჩევებში.

რაც შეეხება საკონტაქტო საათების ნაწილს, სასწავლო კურსებისათვის გამოყოფილია სათანადო მოცულობის კრედიტები და, შესაბამისად, სტუდენტისთვის განკუთვნილია კომპონენტებით დადგენილი შედეგების მისაღწევად საჭირო სამუშაო საათების სათანადო მოცულობა, თუმცა სრულად სტანდარტიზებულია სასწავლო კურსებისთვის განსაზღვრული სამუშაო საათების განაწილება საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს შორის. რეკომენდებულია სასწავლო კურსის შინაარსისა და დადგენილი შედეგების სათანადოდ მიღწევის

უზრუნველსაყოფად უფრო ლოგიკურად იყოს განსაზღვრული საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების მოცულობა. მაგალითად, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სასწავლო კურსები „რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 1, 2 და 3“, „ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვა“, „ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი 1 და 2, „კორპორატიული ფინანსები 1 და 2“, „ბიზნესის შეფასება“ განსაზღვრული შედეგების მისაღწევად მნიშვნელოვანია პრაქტიკული მუშაობის საათებს ეთმობოდეს მეტი დრო ვიდრე სალექციო საათებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ გამომდინარე იქიდან რომ ISET საერთაშორისო სკოლაა და ორიენტაცია აქვს საერთაშორისო სტანდარტებზე და ინტერნაციონალიზაციაზე, რაც მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი ორი არსებული აკადემიური პროგრამის საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვებით FIBAA-საგან 2021 წლის მაისში. სკოლა ასევე მომავალში გეგმავს ფინანსებში სამაგისტრო პროგრამის საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვებას იგივე საერთაშორისო სააკრედიტაციო სააგენტოდან (კერძოდ, 2 წელიწადში პროგრამის განხორციელების დაწყებიდან). ISET მიისწრაფვის თავისი წვლილი შეიტანოს 12 საერთაშორისო კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებაში ფინანსების სფეროშიც ქვეყნისა და რეგიონის მასშტაბით, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ბოლო ათწლეულია მსოფლიო ეკონომიკაში ფინანსური სექტორი სწრაფად გაიზარდა და კაპიტალის, საინვესტიციო, სადაზღვევო ბაზრები გახდა მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და მდგრადობის ერთ-ერთი უმთავრესი საყრდენი.

მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ადასტურებს თანხმობას იმაზე, რომ გარკვეულ სასწავლო კურსებს მეტი დამოუკიდებელი და პრაქტიკული მუშაობა სჭირდება და შესაბამისი დროის გამოყოფა მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ, ამავე დროს, უსდ-ს მიდგომა ასეთია: მიუხედავად იმისა, რომ საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების მოცულობა სტანდარტიზებულად გამოიყურება (2/1), კურსების უმეტესობის ფარგლებში განსაზღვრული დამოუკიდებელი საათების გარდა, თვით საკონტაქტო საათებიც მოიცავს პრაქტიკული მუშაობის ელემენტებს და კურსის მიზნებიდან გამომდინარე მოქნილად აბალანსებს საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების მოცულობას. ეს ნათლად არის ასახული სილაბუსებში გათვალისწინებულ სასწავლო მასალაში, სადაც მთელი რიგი კურსების შემთხვევაში ინტეგრირებულია problem set-ზე, ქვიზებზე, Case Study-ზე ინდივიდუალური თუ ჯგუფური მუშაობა სალექციო საათების განმავლობაში, ე.ი. სტუდენტი იღებს დამოუკიდებელი და პრაქტიკული მუშაობის გამოცდილებას სალექციო საათებშიც, რაც მას დამოუკიდებელი საათების ეფექტურად გამოყენებისათვის ამზადებს. ამასთანავე, ISET-ის არსებულ სამაგისტრო პროგრამაზე ეკონომიკაში, რომელმაც 2021 წელს მოიპოვა FIBAA-ს საერთაშორისო აკრედიტაცია და მაღალი შედეგებით გამოირჩევა, აქვს იგივე სტრუქტურა - საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის უნიფიცირებული მიდგომა (2/1), სადაც კონკრეტული საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე ხდება სალექციო საათების განმავლობაში პრაქტიკული სახის დავალებებზე მუშაობა, ამით ხდება დამოუკიდებელი მუშაობის დროის ფაქტიური ზრდა კურსის სპეციფიკიდან და შესაბამისი სასწავლო მასალიდან გამომდინარე.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) აკადემიური გუნდი მიიჩნევს, რომ ამ სასწავლო კურსის სტატუსის ცვლილება სავალდებულოდ საჭირო არ არის და ეს გათვალისწინებულია არსებულ კურიკულუმში სხვა სავალდებულო საგნების კომპოზიციით. აკადემიური პერსონალი წინამდებარე სასწავლო კურსის არჩევით სტატუსს განმარტავს შემდეგი არგუმენტებით, კერძოდ, სასწავლო კურსი ეფუძნება ფინანსების ინდუსტრიაში მიმდინარე პროცესების დეტალურ ანალიზსა და საბოლოოდ მიღებულ შემდეგ მოსაზრებას: ფინანსების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულების მნიშვნელოვანი

ნაწილი აირჩევს კარიერას კორპორაციული ფინანსების მიმართულებით ან/და სხვა ისეთ ვიწრო სპეციალიზაციას, სადაც მათ არ ექნებათ ისეთი როლი, როგორიცაა ინვესტორებისთვის პორტფელის მართვაში დახმარება. საგანმანათლებლო პროგრამის მენეჯმენტი სრულად ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ თანამედროვე ფინანსურ ინდუსტრიაში ინვესტიციების როლი მნიშვნელოვანია და თუნდაც კორპორაციული ფინანსების კუთხით მომუშავე პროფესიონალებს სჭირდებათ გარე ინვესტორებთან მიმართებაში რიგი საინვესტიციო მოდელებისა და საკითხების ცოდნა და პრაქტიკული გამოყენება, მაგრამ ეს არ მოიცავს უშუალოდ საინვესტიციო პორტფელის მართვის სიღრმეში არსებული სპეციფიკის ცოდნას. ამიტომ, წარმოდგენილ კურიკულუმში კორპორაციული ფინანსები 2, რომელიც არის სავალდებულო საგანი, მოიცავს საინვესტიციო პორტფელთან და ზოგადად ინვესტიციებთან დაკავშირებულ საკითხებს სწორედ იმ სიღრმითა და მოცულობით, რაც მიზანშეწონილი და საკმარისია კორპორაციის ფინანსური გუნდის თანამშრომლებისა თუ სხვა მიმართულებით სპეციალიზებული ფინანსისტების მიერ შესასრულებელი სამსახურეობრივი როლისთვის. შესაბამისად, არჩევანი გაკეთდა, რომ ფინანსური პორტფელის მართვის საგანი იყოს არჩევითი, რათა სტუდენტთა ზემოაღნიშნულ ჯგუფს ჰქონდეს საშუალება საჭიროების შემთხვევაში აირჩიოს მათთვის უფრო საინტერესო და რელევანტური სასწავლო კურსი . ხოლო სტუდენტებს, რომლებიც აირჩევენ კარიერას საინვესტიციო ფინანსების მიმართულებით, ესაჭიროებათ უფრო სიღრმისეული ცოდნა საინვესტიციო პორტფელის მართვის მიმართულებით და ექნებათ საშუალება აირჩიონ შესაბამისი არჩევითი საგნები, საინვესტიციო პორტფელის ჩათვლით. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებს მიაჩნიათ, რომ შესაბამისი სასწავლო კურსი უნდა იყოს არჩევითი და არა სავალდებულო.

რაც შეეხება მე-4 რეკომენდაციას, თსუ-ს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET) დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პრაქტიკის საკითხს და მას სამაგისტრო პროგრამის არსებობის 16 წლის მანძილზე აქვს მეტად წარმატებული გამოცდილება ამ კუთხით. აღსანიშნავია, რომ მრავალი სტუდენტის დასაქმება სწორედ პრაქტიკის გავლის შედეგად მოხდა პარტნიორ ორგანიზაციებში. მაგალითად, ეროვნულ ბანკში ამჟამად მუშაობს 39 კურსდამთავრებული, რომელთაგან 36 სწორედ პრაქტიკის შედეგად მიიწვიეს. დაგროვილმა წარმატებულმა გამოცდილებამ ISET-ს აჩვენა, რომ სტუდენტთა რაოდენობის დაფიქსირება პარტნიორობის მემორანდუმებში არ არის პრაქტიკული რამდენიმე მიზეზით და ზღუდავს ურთიერთობის მოქნილობას: (ა) ამა თუ იმ ორგანიზაციაში პრაქტიკის მსურველ სტუდენტთა რიცხვი ყოველწლიურად იცვლება. ეს დამოკიდებულია სტუდენტთა ინტერესებზე. ერთ წელს შეიძლება ეროვნულ ბანკში პრაქტიკით დაინტერესებული 9 სტუდენტი იყოს, ხოლო მეორე წელს მხოლოდ 3. (ბ) იცვლება სიტუაცია თვითონ პარტნიორ ინსტიტუციებშიც, შემდგომ წლებში მათი საქმიანობა შეიძლება გაფართოვდეს და მათ შეძლონ მეტი პრაქტიკანტის მიღება. ან ჰქონდეთ კონკრეტული პროექტები, სადაც დასჭირდებათ მეტი სტუდენტის ჩართულობა. ან მაგალითად გლობალურმა შოკებმა შეიძლება შექმნან სრულიად განსხვავებული რეალობა და გახდეს საჭირო ურთიერთობების ადაპტირება. აქედან გამომდინარე, უსდ მიიჩნევს, რომ მემორანდუმები უნდა იყოს მოქნილი და ადაპტირებადი, ურთიერთობების განვითარებაზე ორიენტირებული, ვიდრე ფიქსირებული კონტრაქტის სახით.

მე-5 რეკომენდაციასთან მიმართებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ წარმოდგენილ პროგრამაში გათვალისწინებულია სამი ტიპის შეფასების სქემა, რომელიც მორგებულია სასწავლო კურსების სპეციფიკაზე. პროგრამის განმახორციელებელი პირები მიიჩნევენ, რომ ეს სამი ტიპი სრულად უზრუნველყოფს ყველა კურსის ფარგლებში სათანადო შეფასებას, მათ შორის, პრაქტიკული უნარებისაც. ამასთანავე წარმოდგენილი შეფასების ტიპები ეფუძნება როგორც საერთაშორისო, ასევე სკოლის საკუთარ გამოცდილებას. ხოლო, როდესაც პროგრამა უკვე განხორციელების პროცესში იქნება და დაგროვდება რამდენიმეწლიანი პრაქტიკული გამოცდილება როგორც აკადემიური პერსონალის მხრიდან, ასევე სტუდენტების უკუკავშირით და გამოიკვეთება შეფასების მეთოდების გადახედვის საჭიროება, მაშინ მოხდება შესაბამისი ადაპტირება.

მნიშვნელოვანია ასევე დაწესებულების პოზიცია მე-6 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კერძოდ, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს მონიტორინგის პროცესები კონკრეტული მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომლის ფარგლებში ყოველ სემესტრულად წინამდებარე პროცესებს ექვემდებარება სულ ცოტა 14 საგანმანათლებლო პროგრამა, რაც წარმოადგენს საფუძველს პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის. წინამდებარე პროცესების აღმწერ პროცედურებს დაინტერესებული პირები შეიძლება გაეცნონ ხარისხის უზრუნველყოფის ვებგვერდზე. მსგავსი რეკომენდაცია პროგრამების მონიტორინგის დროს გაიცემა უკლებლივ ყველა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ვინაიდან ხარისხის უზრუნველყოფის გაცხადებული ხედვაა საუნივერსიტეტო მრავალფეროვნების ასახვა საგანმანათლებლო პროგრამებსა და სასწავლო კომპონენტებში, თუმცა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პატივს სცემს აკადემიური პერსონალის აკადემიურ თავისუფლებას და მის გადაწყვეტილებას ანგარიშს უწევს არგუმენტირებული დასაბუთების შემთხვევაში. ამრიგად, წინამდებარე რეკომენდაცია უფრო რჩევის ხასიათს ატარებს.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამაზე არის 5 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, აქედან აკადემიური არის 4, საიდანაც ორი არის უცხოელი, მაგრამ უცხოელი ჯამში პროგრამაზე არის 6 .
რაც შეეხება ბიუჯეტს, პროგრამაზე სტუდენტების რაოდენობაა 40 სტუდენტი, აქედან 30 ქართველი და 10 უცხოელი. პირველი წლის ფარგლებში პროგრამა ვერ დაფარავს თავის ხარჯებს, თუმცა დაწესებულების გამოცდილებიდან და მოლოდინიდან გამომდინარე, ხარჯების დაფარვა სავსებით შესაძლებელ იქნება მეორე წელს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:46
დასრულების დრო: 15:04

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფინანსების“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლი ს პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფინანსების“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

2.2 რეკომენდირებულია დაზუსტდეს შემდეგ სასწავლო კურსებზე, კომპონენტზე დაშვების წინაპირობები: „Capstone პროექტი“, „ეთიკა ფინანსურ სექტორში“, „საინვესტიციო პორტფელის მართვა“.

2.2 ინვესტიციების მართვის მიმართულებით პროგრამით დადგენილი შედეგების სრულად მიღწევის მიზნით, რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „საინვესტიციო პორტფელის მართვა“ პროგრამის ფარგლებში ისწავლებოდეს სავალდებულო სტატუსით.

2.3 რეკომენდირებულია, გადაიხედოს რიგ სასწავლო კურსებში შეფასების მეთოდების გადახედვა, შემდგომში კურსის/ების სწავლის შედეგებთან მეტად შესაბამისობაში მოსაყვანად.

2.3 გადასახედია პროგრამის ფარგლებში გამოყენებული ზედმეტად სტანდარტიზებული შეფასების მიდგომები და მეთოდები, რათა განსაკუთრებით პრაქტიკული უნარების შეფასების მიზნით მოხდეს უფრო სატანადო მეთოდების გამოყენება, მაგალითად, როგორიცაა პრაქტიკული სავარჯიშოები და ამოცანები, შემთხვევის ანალიზი და ა.შ.

2.4 რეკომენდირებულია პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმებში მოხდეს პრაქტიკის ობიექტზე მისაღები სტუდენტების რაოდენობისა და პრაქტიკის ხანგრძლივობის (ან სილაბუსის პირობების შესრულების ვალდებულების) მითითება.

5.3 რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამისა და სილაბუსების შეფასების ეტაპზე გაიცეს რეკომენდაციები ზედმეტად სტანდარტიზებულ შეფასების მიდგომებსა და მეთოდებთან დაკავშირებით, რათა მოხდეს სასწავლო კურსების შედეგებზე მეტად მორგება და სტუდენტის უნარების შეფასების მიზნით უფრო სათანადო მეთოდების გამოყენება.

რჩევები:

2.1 სასურველია პროგრამაში უცხო ქვეყნის მოქალაქე აპლიკანტებისთვის დამატებით მიეთითოს საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე პირთა ჩარიცხვის შესახებ წესის არსებობის საკითხი.

2.3 რეკომენდირებულია რიგ შემთხვევებში სასწავლო კურსის შინაარსისა და დადგენილი შედეგების სათანადოდ მიღწევის უზრუნველსაყოფად უფრო ლოგიკურად იყოს განსაზღვრული საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების მოცულობა.

2.3 სასურველია დამხმარე ლიტერატურა დაკონკრეტებული და შეთავაზებული იყოს სტუდენტებისთვის სილაბუსში. მათ შორის შესაძლებელია რეკომენდირებული იყოს ისეთი დამატებითი საკითხავი ლიტერატურა, რაც არ არის ხელმისაწვდომი დაწესებულების ბიბლიოთეკაში.

3.1 სასურველია უსდ-მ ყველა შესაძლო საკომუნიკაციო ინსტრუმენტით მიაწოდოს ინფორმაცია მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებების, აქტივობების, კონფერენციების და გაცვლითი პროგრამების, სტაჟირებებისა და დასაქმების შესახებ სტუდენტებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ჩართოს სხვა დამატებითი მექანიზმები ამ პროცესში.

3.1 სასურველია უსდ-მ მეტი ძალისხმევა მიმართოს კულტურულ შემეცნებითი აქტივობების მხარდაჭერასა და განვითარებაზე.

3.1 სასურველია უსდ-მ დამატებით, არაფორმალურ შეთანხმებებს დამსაქმებლებთან მისცეს ოფიციალური სახე.

3.2 სასურველია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა მეტი ყურადღება დაუთმონ სტუდენტებისთვის ტექსტის დაკაბადონების წესების, სქოლიოებისა და წყაროების აკადემიური ორგანიზების ნორმების გაცნობას.

2. მეორე საკითხი : სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „მუზეუმმცოდნეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მუზეუმმცოდნეობა/ Museology
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	პროგრამის აკრედიტაციის თარიღი და ნომერი: 09.08.2012 - №333
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	მუზეუმმცოდნეობა Museology
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	მუზეუმმცოდნეობის მაგისტრი Master of Museology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0322 საბიბლიოთეკო, საარქივო კვლევები და ინფორმაციის მართვა;
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	გრიბოედოვის ქ. 22, 1 სართული, 0108 თაბუკაშვილის ქ. 5, მე-2 სართული, 0105
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 14.02.2022 წლის ბრძანების თანახმად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრების, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განვითარებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საჭიროებებზე დაფუძნებული განმავითარებელი და მხარდამჭერი ღონისძიებების დაგეგმვის ხელშეწყობის მიზნით, სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მიერ ცენტრში 2021 წლის 1 დეკემბრის № 16/1514 წერილით წარმოდგენილი „მუზეუმმცოდნეობის“ სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შეფასება.
22 თებერვალს დაწესებულებაში შედგა ვიზიტი მატერიალურ - ტენიკური ბაზის გასაცნობად და სხვა შედეგების შესასწავლად. შეფასებისას, რეგულაციის თანახმად, ძირითადი ყურადღება გამახვილდა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშზე. ვინაიდან, აკრედიტაციის პირობების შემოწმების მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს აკრედიტებულ პროგრამას, ვალდებულია ცენტრს არანაკლებ სამ წელიწადში ერთხელ წარუდგინოს თვითშეფასების ანგარიში, აღნიშნული შეფასების მიზანია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრების, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განვითარებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საჭიროებებზე დაფუძნებული განმავითარებელი და მხარდამჭერი ღონისძიებების დაგეგმვის ხელშეწყობა. შეფასება მოიცავს ზემოთ აღნიშნულ ფარგლებს, ასახავს პროგრამის აკრედიტაციიდან დღემდე მიღებული რეკომენდაციების შესრულების შესახებ შეფასებას, ასევე ამ პერიოდში ზოგად პროგრესს და პროგრამაში განხორციელებულ ცვლილებებს. სამუშაო განრიგის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო უსდ-ის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, შედგა შეხვედრები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, რესტავრაცია/ხელოვნების ისტორია ფაკულტეტის დეკანთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პედაგოგებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „მუზეუმმცოდნეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორეს ტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, გადაიხედოს და დაკორექტოირდეს სამაგისტრო პროგრამის მიზნები და შესაბამისობაში მოვიდეს დარგის სპეციფიკასთან;
2. რეკომენდებულია მომზადდეს პროგრამის მიზნებისა და შედეგების რუკები;
3. რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები, რათა გახდეს უფრო თანმიმდევრული და ასახოს პროგრამის სწავლის ყოვლისმომცველი მიზნები, პროგრამის შესაბამის დონეზე.
4. რეკომენდებულია გაძლიერდეს პროგრამის სწავლის შედეგები იმ სფეროში, რომელიც შეეხება კურსდამთავრებულთა უნარს, შეძლონ ფუნქციონირება საერთაშორისო გარემოში და ასახონ ის უნარები, რომელთაც პროგრამა გამოუმუშავებს მაგისტრანტებს, რათა მოამზადოს ისინი პროფესიული თუ აკადემიური კარიერისთვის;
5. რეკომენდებულია, საკურსო და სამაგისტრო ნაშრომების მომზადებისას გათვალისწინებული იყოს აკადემიური წერის სტანდარტი და გამოყენებული ბიბლიოგრაფიისა და წყაროების აკადემიურობა;
6. რეკომენდებულია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მკაფიოდ გაიწეროს ან დაკონკრეტდეს გამოცდის პირობები და მოთხოვნები აპლიკანტების მიმართ;
7. რეკომენდებულია შემუშავდეს სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები სპეციალობის საკვლევი ჩარჩო;
8. რეკომენდებულია მომზადდეს სპეციალობის გამოცდისთვის აუცილებელი ლიტერატურის სია.
9. რეკომენდებულია სასწავლო კურსების შედეგები გადაიხედოს და შეჯერდეს პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებთან და პრაქტიკულ უნარებთან მიმართებაში.
10. რეკომენდებულია პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსები, რომლებიც უზრუნველყოფს კომპეტენციების განვითარებას თანამედროვე მუზეუმის შესაბამისი სტანდარტის მიხედვით.
11. რეკომენდებულია სილაბუსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა საკითხავი მასალები ეფუძნებოდეს დარგის უახლოეს საკვანძო მიღწევებს.
12. რეკომენდებულია დარედაქტირდეს სასწავლო კურსებისათვის „ვიზუალური ხელოვნების გამოფენები მუზეუმებში“, „მუზეუმების დაგეგმარება, არქიტექტურა და სამუზეუმო ტექნიკები“, „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ინტერპრეტაცია მუზეუმებში“ „გიდის ხელოვნება“ და „ სამუზეუმო კოლექციების ინტერპრეტაცია“ შინაარსის ნაწილი თემატური გადაფარვების აღმოსაფხვრლად.
13. რეკომენდებულია სასწავლო კურსები „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ინტერპრეტაცია მუზეუმებში“ შეიცვალოს და ინტეგრირდეს „კულტურული მემკვიდრეობის მართვის“ სასწავლო კურსად.
14. რეკომენდებულია დარედაქტირდეს/გადაიხედოს არჩევითი კურსების სია, კურიკულუმის დარგობრივი კომპეტენციის გაძლიერების მიზნით.
15. რეკომენდებულია, შემუშავდეს პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის აღმწერი ერთიანი დოკუმენტი, რომელიც შესაბამისობაში მოვა პრაქტიკის სილაბუსთან და აისახება პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმის პირობებში.
16. რეკომენდებულია აქტიურად იყოს გამოყენებული დაწესებულების შიდა რესურსი და გამყარდეს ფაკულტეტებს შორის ინტეგრაცია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პროცესში;
17. რეკომენდებულია, სასწავლო კურსით გათვალისწინებული სილაბუსებში უზრუნველყოფილი იყოს თითოეული სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასება და სწავლის მეთოდების დაზუსტება და შესაბამისობაში მოყვანა სასწავლო კურსის შინაარსთან და მიზნებთან.

18. რეკომენდებულია თითოეული სილაბუსის სასწავლო კომპონენტში ასახული იყოს კონკრეტული სალექციო დღის სწავლის მეთოდიკა (სემინარი, ჯგუფური მუშაობა, დავალება, დისკუსია და აშ - თემატიკის განსაზღვრით).
19. რეკომენდებულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ შეიმუშავოს სწავლის შედეგების გასაჩივრების უფრო მოქნილი მექანიზმი და მიზანშეწონილია, საჩივრების/აპელაციების ადმინისტრირებაზე და განსაზღვროს კონკრეტული პასუხისმგებელი პირი.
20. რეკომენდებულია, 7 შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე შეფასების ფორმებისა და მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებული იყოს კურსის სპეციფიკა და შინაარსი;
21. რეკომენდებულია, შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე შეფასების ფორმებისა და მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებული იყოს კურსის სპეციფიკა და შინაარსი;
22. პროგრამისთვის განსაკუთრებული ყურადღების დათმობა, უცხოელი პარტნიორების მოძიება და საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში სტუდენტების ჩართვა;
23. რეკომენდებულია ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ სტუდენტთა ინფორმირებულობის ამაღლება;
24. რეკომენდებულია გაიზარდოს პრაქტიკის განმახორციელებლი დაწესებულებების რიცხვი და არ განხილებოდეს მხოლოდ ერთი ტიპის მუზეუმების პრაქტიკაში ჩართულობა.
25. რეკომენდებულია შეჯერდეს სტუდენტების პრაქტიკის ნაწილის პროგრამის მიზენებთან და მოსალოდნელ შედეგებთან.
26. სასურველია დაწესებულებამ შექმნას შესაძლებლობა, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობისას არჩევანის თავისუფლება.
27. რეკომენდებულია გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა.
28. რეკომენდებულია ჩამოყალიბდეს პროგრამის არსებითი კონცეფცია უშუალოდ პროგრამის განმახორციელებელების მიერ, სადაც გათვალისწინებული იქნება დარგში უახლესი მიღწევები, რასაც წინ უნდა უსწრებდეს უსდს მხრიდან პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის პროფესიული მხარდაჭერა.
29. საბიბლიოთეკო ბაზა შეივსოს ახალი, დარგობრივი ლიტერატურითა და სამეცნიერო გამოცემებით, როგორც ქართულ, ისე უცხო ენაზე.
30. რეკომენდებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც თვალსაჩინოს გახდის პროგრამის ფინანსური მდგრადობის განსაზღვრის შესაძლებლობას და სამეცნიერო ნაწილის ხელშეწყობის კომპონენტებს.
31. რეკომენდებულია სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული აუცილებელი პრაქტიკული ნაწილისა და მუზეუმებში პრაქტიკის განხორციელების ხელშეწყობისათვის გათვალისწინებული ხარჯები უფრო დეტალურად აისახოს პროგრამის ბიუჯეტში;
32. აქტიურად მომზადდეს და დაიგეგმოს ტრეინინგები აკადემიური და მოწვეული, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისათვის, ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით აქტუალური თემებისა და საკითხების გაზიარების, ხარისხის კულტურის გაძლიერების მიზნით როგორც განათლების ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტების ჩართულობით.
33. გადაიხედოს და შეივსოს ხარისხის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტები, რათა საგანმანათლებლო პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშის პორთფოლიოების მომზადება მოხდეს აკრედიტაციის ახალი სტანდარტების შესაბამისად;
34. მომზადდეს ანალოგიური საგანმანათლებლო პროგრამების შედარებითი ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის არეალის გაფართოებისა და ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში პროგრამის კურსდამთავრებულთა მიერ დარგობრივი პოზიციების სხვადასხვა მიმართულებით ათვისების მიზნით.
35. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის გარე ექსპერტირება, პროგრამის მონაწილე და მისი განხორციელებით დაინტერესებულ პირთა ინტერნაციონალიზაციისა და სრულყოფის მიზნით ქვეყნის ფარგლებში მსგავსი გამოცდილების მქონე აკადემიურ სივრცეში, ან უცხოეთში, საუკეთესო პრაქტიკის გასაზიარებლად;

36. რეკომენდებულია შემუშავდეს მონიტორინგის პროცესის კონკრეტული მეთოდოლოგია და გაწერილი პროცედურები, საგანმანათლებლო პროგრამის მიზანმიმართულად განვითარების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ლევან მოსახლიშვილმა აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რიგ შემთხვევაში მაგისტრები ასწავლიან მაგისტრებს, შესაბამისად მოუწოდა მხარეებს საკითხის განმარტებისკენ.
საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ აღნიშნა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები საკმაოდ ბუნდოვნად არის მოცემული, არ არის განსაზღვრული თუ რომელი მიმართულების ბაკალავრი დაიშვება პროგრამაზე, ასევე არ არის მითითებული ინგლისური ენის მოთხოვნის დონე. რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებს, 2018-2020 წლებში დაცული სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელი იყო ერთი და იგივე პიროვნება. შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რა მექანიზმი აქვს დაწესებულებას ამჟამად იმისათვის, რომ მოხდეს ერთი ხელმძღვანელის ჩანაცვლება სხვა ხელმძღვანელით?
საბჭოს წევრმა, ირინა გველესიანმა მოუწოდა დაწესებულებას, განემარტათ თუ რომელ ევროპულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობს დაწესებულება და იგეგმება თუ არა გაცვლითი პროგრამები სტუდენტებისთვის?
საბჭოს წევრმა აღნიშნა ,,სამუზეუმო პრაქტიკის“ სასწავლო კურსი, სადაც მოცემულია რომ სტუდენტები სხვადასხვა მუზეუმებში გადიან პრაქტიკას, შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა, თუ როგორ ხდება აღნიშნულის უზრუნველყოფა?

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ თვითშეფასებაში წარმოდგენილი აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან, 5/15 საფრთხეს უქმნის პროგრამის მდგრადობას, რის გასაუმჯობესებლად დაწესებულებამ უნდა დასახოს გარკვეული ღონისძიებები. რაც შეეხება სტუდენტისა და აკადემიური პერსონალის კოეფიციენტის თანაფარდობას, ის თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილია 20/10, მათ შორის აფილირებული პერსონალის თანაფარდობა სტუდენტებთან არის 5/10. გამომდინარე იქიდან, რომ აკადემიური პერსონალი სამჯერ ნაკლებია ვიდრე მოწვეული, ეს ერთგვარად შესაძლებელია დაბრკოლებად იქცეს სტუდენტთათვის სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დროს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეფიქსირებინათ საკუთ არი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ ინსტიტუციას ურთიერთობა აქვს საქართველოს საკმაოდ ბევრ მუზეუმთან, თუმცა პრაქტიკის მიზნით თანამშრომლობის ნაწილი პანდემიის პერიოდში იყო საკმაოდ შეზღუდული. უნდა აღინიშნოს ასევე, რომ გასულ წელს ამირანაშვილის მუზეუმთან ხელმეორედ გაფორმდა მემორანდუმი და ფონდების მთლიანი კატალოგიზაცია და უამრავი სხვა სამუზეუმო სამუშაო ჩატარდა ზოგადად აკადემიისა და, უშუალოდ, პროგრამის სტუდენტების მიერ. აკადემიას ასევე გაფორმებული აქვს მემორანდუმი ეთნოგრაფიულ მუზეუმთან. შესაბამისად, ზაფხულში სტუდენტები შეძლებენ პრაქტიკის დაწყებას.
რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის არჩევის საკითხს, ხელმძღვანელი შეიძლება იყოს აკადემიის როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალი, ასევე გარედან მოწვეული პირი. მნიშვნელოვანია ასევე, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის არჩევის წესი განსაზღვრულია ფაკულტეტის სამაგისტრო ნაშრომის საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და დაცვის წესში, რომლის მიხედვითაც მაგისტრანტს აქვს უფლება თავად აირჩიოს სამეცნიერო ხელმძღვანელი და, ასევე, ჰყავდეს თანახელმძღვანელი პარტნიორი უნივერსიტეტიდან.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე, ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამის მიზნები და კურიკულუმი ეფუძნება ანალოგიური პროგრამების საერთაშორისო გამოცდილებას პროგრამით დაინტერესებული პირები არიან დამსაქმებლები.
მნიშვნელოვანია ასევე პროგრამაზე დაშვების წინაპირობების საკითხი, კერძოდ გამოცდაზე დაშვების წინაპირობები გაწერილია, ასევე დაკონკრეტებულია გამოცდის პირობები, შეფასების კრიტერიუმები და სხვ. პროგრამის ხელმძღვანელებს არ მიაჩნიათ მიზანშეწონილად მისაღები გამოცდის ფორმატის ცვლილება. აღსანიშნავია, რომ საქართველოში არცერთ უნივერსიტეტს არ გააჩნია მუზეუმმცოდნეობის საბაკლავრო პროგრამა. აქედან გამომდინარე, აბიტურიენტს შეიძლება არ ჰქონდეს წინა პრაქტიკული გამოცდილება და/ან ადრინდელი ნაშრომი/პროექტი/სტატია, თუმცა ამ ფაქტმა არ უნდა შეზღუდოს აბიტურიენტის დაშვება მისაღებ გამოცდაზე. ასევე არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად გამოცდის თემატიკის წინასწარი განსაზღვრა, რაც შეზღუდავს აბიტურიენტის დამოუკიდებლობას საპრეზენტაციო თემის არჩევისას. ამ ტიპის სამაგისტრო პროგრამის მომზადება გამოწვეული იყო ამ სპეციალობის მქონე კადრების დეფიციტით. საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებითაც, მუზეუმმცოდნეობა სხვადასხვა სახის ცოდნა-უნარებს მოიცავს, დაწყებული ჰუმანიტარული სფეროს საგნებით და მარკეტინგისა და მართვა-კოორდინირების მიმართულებით დამთავრებული. პროგრამის კურიკულუმი არსებული დეფიციტის შევსებას ითვალისწინებს, შესაბამისად, მისაღებ გამოცდაზე არჩეულია ის ფორმატი, რომელიც მოიცავს აბიტურიენტის სხვადასხვა უნარ-ჩვევების შემოწმებას. აბიტურიენტის შეფასების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება კოლეგიურად, კომისიის წევრების მიერ. კომისია დაკომპლექტებულია რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის სხვადასხვა მიმართულებების აკადემიური პერსონალისგან. ექსპერტების რეკომენდაცია ხელმძღვანელის რეკომენდაციის შესახებ განხილული იქნება ფაკულტეტის საბჭოზე და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ცვლილება შევა სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წესში.
რაც შეეხება ინტერნაციონალიზაციას, პროგრამის ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით კონკრეტული ნაბიჯები უკვე გადადგმულია. მაგ., რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტზე მოქმედებს ერასმუს+ სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის პროგრამები, რომელშიც მუზეუმმცოდნეობის სტუდენტებსაც შეუძლიათ მონაწილეობის მიღება. ამავე დროს, მიმდინარეობს მოლაპარაკება ევროპის რამდენიმე უნივერსიტეტთან მუზეუმმცოდნეობის მიმართულებით გაცვლითი პროგრამების განხორციელების მიზნით. ასევე, გასული წლების მსგავსად, დაგეგმილია საერთაშორისო კონფერენციებსა და სემინარებში სტუდენტების მონაწილეობის ხელშეწყობის გაგრძელება. ამასთან, ადგილობრივი და საერთაშორისო მასშტაბით მიმდინარე ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია თავსდება აკადემიის ვებ-გვერდზე, ასევე აკადემიისა და ფაკულტეტის სოციალურ ქსელებში, სტუდენტებს ინფორმაცია ეგზავნებათ უსდ-ს ელ-ფოსტაზე. დაწესუბლება თანამშრომლობს ამსტერდამის უნივერსიტეტთან და ასევე იგეგმება თანამშრომლობა გერმანულ, ავსტრიულ და შვეიცარულ უნივერისტეტებთანაც.
რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, საერთაშორისო გარემოში მუშაობის გამოცდილება პროგრამის კურსდამთავრებულებს უკვე გააჩნიათ. პროგრამის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა სხვადასხვა დროს მონაწილეობა მიიღეს ევროპის და აშშ-ს სამუზეუმო მიმართულების მოკლევადიან სასწავლო პროგრამებში. ამასთანავე, პროგრამის ხელმძღვანელები მუშაობენ ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის განვითარებაზე, რაც ითვალისწინებს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის სწავლის შედეგების გაძლიერებას საერთაშორისო გარემოში პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლისთვის.
აღსანიშნავია ასევე, რომ პროგრამაში გათვალისწინებულია სამუზეუმო სფეროში თანამედროვე გამოწვევების შესაბამისი კურსები, რომლებიც ანალოგიაშია საერთაშორისო პროგრამებთან.

რაც შეეხება სასწავლო კურსებს, ბოლო ათწლეულის მანძილზე ქართულ ენაზე ითარგმნა რამდენიმე წიგნი, რომელიც გათვალისწინებულია პროგრამის ლიტერატურაში. პროგრამის ლექტორებს დავალებული აქვთ საგნის შესაბამისი უახლესი ლიტერატურის მიხედვით რიდერების მომზადება. სტუდენტებს აქვთ წვდომა დარგის უცხო ენაზე გამოცემულ უახლეს ლიტერატურაზე, აკადემიაში მოქმედებს სამეცნიერო ბაზები. ასევე, პანდემიის პირობებში მოხდა მთელი სავალდებულო ლიტერატურის გაციფრულება და შეიქმნა ციფრული ბიბლიოთეკა.

მნიშვნელოვანია, ასევე თემატური გადაფარვების საკითხი. კერძოდ, რეკომენდაციასთან დაკავშირებით, შესაძლებელია გაერთიანდეს შემდეგი სასწავლო კურსები: „ვიზუალური ხელოვნების გამოფენები მუზეუმებში“, „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ინტერპრეტაცია მუზეუმებში“, “სამუზეუმო კოლექციების ინტერპრეტაცია“ და ჩამოყალიბდეს ერთ ძირითად სასწავლო კურსად “ინტერპრეტაციის საკითხები მუზეუმებში”.

რაც შეეხება პრაქტიკის კომპონენტს, დაწესებულება იზიარებს რეკომენდაციას პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის აღმწერი ერთიანი დოკუმენტის შემუშავებასთან დაკავშირებით. უახლოეს მომავალში დაგეგმილია თსს აკადემიის მუზეუმის ფონდების გადატანა ახალ რეაბილიტირებულ საფონდო სივრცეში, სადაც შესაძლებელი იქნება სამუზეუმო კოლექციების სრულყოფილი ინვენტარიზაციის ჩატარება, მუზეუმის ამ და სხვა საქმიანობაში როგორც მუზეუმმცოდნეობის, ასევე ფაკულტეტზე მოქმედი სხვა პროგრამების (ხელოვნებათმცოდნეობა, რესტავრაცია, კულტუროლოგია) სტუდენტების აქტიური ჩართვა. იგეგმება აკადემიის სხვდასხვა ფაკულტეტებს შორის საერთო სტუდენტურ პროექტებზე მუშაობის ინიცირება (მაგალითად რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებისა და მედია ხელოვნებისა და დიზაინის ფაკულტეტების სამაგისტრო პროგრამების ერთობლივი პროექტები). გარდა ამისა, აკადემიას გაფორმებული აქვს მემორანდუმი რამდენიმე მუზეუმთან, და ასევე მიმდინარეობს მოლაპარაკების პროცესი მემორანდუმების გაფორმებასთან დაკავშირებით როგორც თბილისის, ასევე რეგიონების მუზეუმებთან, რაც შესაძლებელს გახდის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის ახალი პრაქტიკული კომპონენტების დამატების შესაძლებლობას.

მე-5 სტანდარტთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თსსა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ადამიანური რესურსების მართვის სამსახური 2021-2022 წლის განმავლობაში ერთობლივად მუშაობდნენ აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის კვლევის კითხვარის მომზადებაზე, რომელიც მაქსიმალურად ზუსტ ინფორმაციას მისცემდა პერსონალის კმაყოფილების, თვითშეფასების, პროფესიული განვითარების, დაწესებულებაში ხარისხის კულტურის ამაღლების თვალსაზრისით ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ. კვლევა ჩატარდა 2022 წლის მარტში. გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები და, მათ შორის, ჩასატარებელი ტრენინგების თაობაზე. დაგეგმილი ტრენინგები ჩატარდება აკადემიის უწყვეტი განათლების ცენტრის ბაზაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა პროგრამის ფინანსურ მდგრადობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ აკადემიას აქვს დაფინანსების სხვადასხვა წყარო, ერთ-ერთ მათგანი წარმოადგენს კულტურის სამინისტროს მიერ გამოყოფილი თანხები, საიდანაც ხდება აკადემიური პერსონალის ხარჯებისა და ჰონორარების დაფარვა. ამის მიღმა აკადემიაში არის გარკვეული მიმართულებები, სადაც მიღება არის შედარებით მცირე, რომელთა დაფინანსება ხორციელდება მომიჯნავე პროგრამებიდან.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ “მუზეუმმცოდნეობის“ სამაგისტრო პროგრამის შემუშავება დიდწილად ორიენტირებული იყო და ამჟამადაც არის უცხოური ანალოგების მსგავსი. პროგრამის ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია აპრობირებული უცხოური გამოცდილების გაზიარება, თუმცა კურსდამთავრებულთა სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებში დასაქმების თვალსაზრისით ხშირად ვაწყდებით ამ დარგის სპეციალისტების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობას. ამ ინფორმაციული ხარვეზის შესავსებად

2020 წელს დაგეგმილი გვქონდა სადიპლომო ნაშრომების საჯარო დაცვაზე იმ საჯარო დაწესებულებების წარმომადგენელთა მოწვევა, რომლებიც უშუალო კავშირში არიან საქართველოს მუზეუმებთან. ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო 2020 და 2021 წელს დაცვები მხოლოდ ელექტრონულ ფორმატში ჩატარდა. ვიმედოვნებთ, წელს შენარჩუნებული იქნება მეტ-ნაკლებად სტაბილური ეპიდემიოლოგიური ვითარება და შევძლებთ სხვადასხვა ტიპის საჯარო დაწესებულებებს უკეთ გავაცნოთ პროგრამის კურსდამთავრებულთა შესაძლებლობები, მათი ინტერესთა სფერო, რაც, საბოლოო ჯამში, დასაქმების არეალის გაფართოებაზე დადებითად იმოქმედებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:55
დასრულების დრო: 16:20

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე ედააყენა: სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „მუზეუმმცოდნეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^2 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3, მე-3^2 ქვეპუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხ ლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „მუზეუმმცოდნეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

რეკომენდაციები:
1.1 რეკომენდებულია, გადაიხედოს და დაკორექტოირდეს სამაგისტრო პროგრამის მიზნები და შესაბამისობაში მოვიდეს დარგის სპეციფიკასთან
1.2

- რეკომენდებულია მომზადდეს პროგრამის მიზნებისა და შედეგების რუკები;
- რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები, რათა გახდეს უფრო თანმიმდევრული და ასახოს პროგრამის სწავლის ყოვლისმომცველი მიზნები, პროგრამის შესაბამის დონეზე.
- რეკომენდებულია გაძლიერდეს პროგრამის სწავლის შედეგები იმ სფეროში, რომელიც შეეხება კურსდამთავრებულთა უნარს, შეძლონ ფუნქციონირება საერთაშორისო გარემოში და ასახონ ის უნარები, რომელთაც პროგრამა გამოუმუშავებს მაგისტრანტებს, რათა მოამზადოს ისინი პროფესიული თუ აკადემიური კარიერისთვის;

- რეკომენდებულია, საკურსო და სამაგისტრო ნაშრომების მომზადებისას გათვალისწინებული იყოს აკადემიური წერის სტანდარტი და გამოყენებული ბიბლიოგრაფიისა და წყაროების აკადემიურობა;

2.1

- რეკომენდებულია, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მკაფიოდ გაიწეროს ან დაკონკრედეს გამოცდის პირობები და მოთხოვნები აპლიკანტის მიმართ.
- რეკომენდებულია, შემუშავდეს სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები სპეციალობის საკვლევი ჩარჩო.
- რეკომენდებულია, მომზადდეს სპეციალობის გამოცდისთვის აუცილებელი ლიტერატურის სია.

2.2

- რეკომენდებულია სასწავლო კურსების შედეგები გადაიხედოს და შეჯერდეს პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებთან და პრაქტიკულ უნარებთან მიმართებაში.
- რეკომენდებულია პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსები, რომლებიც უზრუნველყოფს კომპეტენციების განვითარებას თანამედროვე მუზეუმის შესაბამისი სტანდარტის მიხედვით.

2.3

- რეკომენდებულია სილაბუსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა საკითხავი მასალები ეფუძნებოდეს დარგის უახლოეს საკვანძო მიღწევებს.
- რეკომენდებულია დარედაქტირდეს სასწავლო კურსებისათვის „ვიზუალური ხელოვნების გამოფენები მუზეუმებში“, „მუზეუმების დაგეგმარება, არქიტექტურა და სამუზეუმო ტექნიკები“, „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ინტერპრეტაცია მუზეუმებში“ „გიდის ხელოვნება“ და „ სამუზეუმო კოლექციების ინტერპრეტაცია“ შინაარსის ნაწილი თემატური გადაფარვების აღმოსაფხვრელად.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსები „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ინტერპრეტაცია მუზეუმებში“ შეიცვალოს და ინტეგრირდეს „კულტურული მემკვიდრეობის მართვის“ სასწავლო კურსად.
- რეკომენდებულია დარედაქტირდეს/გადაიხედოს არჩევითი კურსების სია, კურიკულუმის დარგობრივი კომპეტენციის გაძლიერების მიზნით.

2.4

- რეკომენდებულია, შემუშავდეს პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის აღმწერი ერთიანი დოკუმენტი, რომელიც შესაბამისობაში მოვა პრაქტიკის სილაბუსთან და აისახება პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმის პირობებში.
- რეკომენდებულია აქტიურად იყოს გამოყენებული დაწესებულების შიდა რესურსი და გამყარდეს ფაკულტეტებს შორის ინტეგრაცია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პროცესში;

2.5

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსით გათვალისწინებული სილაბუსებში უზრუნველყოფილი იყოს თითოეული სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასება და სწავლის მეთოდების დაზუსტება და შესაბამისობაში მოყვანა სასწავლო კურსის შინაარსთან და მიზნებთან.

- რეკომენდებულია თითოეული სილაბუსის სასწავლო კომპონენტში ასახული იყოს კონკრეტული სალექციო დღის სწავლის მეთოდიკა (სემინარი, ჯგუფური მუშაობა, დავალება, დისკუსია და აშ - თემატიკის განსაზღვრით).

2.6

- რეკომენდებულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ შეიმუშავოს სწავლის შედეგების გასაჩივრების უფრო მოქნილი მექანიზმი და მიზანშეწონილია, საჩივრების/აპელაციების ადმინისტრირებაზე და განსაზღვროს კონკრეტული პასუხისმგებელი პირი. რეკომენდებულია, შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე შეფასების ფორმებისა და მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებული იყოს კურსის სპეციფიკა და შინაარსი;
- რეკომენდებულია, შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე შეფასების ფორმებისა და მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებული იყოს კურსის სპეციფიკა და შინაარსი;

3.1

- პროგრამისთვის განსაკუთრებული ყურადღების დათმობა, უცხოელი პარტნიორების მოძიება და საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში სტუდენტების ჩართვა;
- რეკომენდებულია ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ სტუდენტთა ინფორმირებულობის ამაღლება;
- რეკომენდებულია გაიზარდოს პრაქტიკის განმახორციელებელი დაწესებულებების რიცხვი და არ განიხილებოდეს მხოლოდ ერთი ტიპის მუზეუმების პრაქტიკაში ჩართულობა.
- რეკომენდებულია შეჯერდეს სტუდენტების პრაქტიკის ნაწილის პროგრამის მიზნებთან და მოსალოდნელ შედეგებთან.

3.2

- სასურველია დაწესებულებამ შექმნას შესაძლებლობა, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობისას არჩევანის თავისუფლება.

4.1 რეკომენდებულია გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა.

4.2 რეკომენდებულია, ჩამოყალიბდეს პროგრამის არსებითი კონცეფცია უშუალოდ პროგრამის განმახორციელებლების მიერ, სადაც გათვალისწინებული იქნება დარგში უახლესი მიღწევები, რასაც წინ უნდა უსწრებდეს უსდს მხრიდან პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის პროფესიული მხარდაჭერა.

4.3 საბიბლიოთეკო ბაზა შეივსოს ახალი, დარგობრივი ლიტერატურითა და სამეცნიერო გამოცემებით, როგორც ქართულ, ისე უცხო ენაზე.

4.4

- რეკომენდებულია, პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც თვალსაჩინოს გახდის პროგრამის ფინანსური მდგრადობის განსაზღვრის შესაძლებლობას და სამეცნიერო ნაწილის ხელშეწყობის კომპონენტებს.
- რეკომენდებულია, სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული აუცილებელი პრაქტიკული ნაწილისა და მუზეუმებში პრაქტიკის განხორციელების ხელშეწყობისათვის გათვალისწინებული ხარჯები უფრო დეტალურად აისახოს პროგრამის ბიუჯეტში;

5.1

- აქტიურად მომზადდეს და დაიგეგმოს ტრეინინგები აკადემიური და მოწვეული, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისათვის, ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით აქტუალური თემებისა და საკითხების გაზიარების, ხარისხის კულტურის გაძლიერების მიზნით როგორც განათლების ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტების ჩართულობით;

- გადაიხედოს და შეივსოს ხარისხის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტები, რათა საგანმანათლებლო პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშის პორთფოლიოების მომზადება მოხდეს აკრედიტაციის ახალი სტანდარტების შესაბამისად;
- მომზადდეს ანალოგიური საგანმანათლებლო პროგრამების შედარებითი ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის არეალის გაფართოებისა და ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში პროგრამის კურსდამთავრებულთა მიერ დარგობრივი პოზიციების სხვადასხვა მიმართულებით ათვისების მიზნით.

5.2 რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის გარე ექსპერტირება, პროგრამის მონაწილე და მისი განხორციელებით დაინტერესებულ პირთა ინტერნაციონალიზაციისა და სრულყოფის მიზნით ქვეყნის ფარგლებში მსგავსი გამოცდილების მქონე აკადემიურ სივრცეში, ან უცხოეთში, საუკეთესო პრაქტიკის გასაზიარებლად;

5.3 რეკომენდებულია, შემუშავდეს მონიტორინგის პროცესის კონკრეტული მეთოდოლოგია და გაწერილი პროცედურები, საგანმანათლებლო პროგრამის მიზანმიმართულად განვითარების მიზნით.

რჩევები:

1.2 სასურველია, პროგრამაზე მუშაობის ყველა ეტაპზე იყოს უზრუნველყოფილი დაინტერესებული მხარეების ჩართულობა. მიზანშეწონილია უნივერსიტეტში ანტიპლაგიატის პროგრამის ქმედითი განხორციელება.
2.1 სასურველია, წარმოდგენილ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში განისაზღვროს, რომ აპლიკანტის მიერ წარმოდგენილ იქნას ადრინდელი ნაშრომი/პროექტი/სტატია, ან დოკუმენტურად დადასტურებული პრაქტიკული გამოცდილება(ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც ნათლად გამოხატავს მზაობას პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად. საგამოცდოდ წარმოდგენილ საკვალიფიკაციო გამოცდის რეფერატს უნდა ახლდეს, პროგრამის ხელმძღვანელის ან ჩართული აკადემიური პერსონალის რეკომენდაცია.
2.2 სასურველია, სტუდენტს საშუალებას მიეცეს აირჩიოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებიდან წინაპირობების დაცვით, თავისი საკვლევი ინტერესებიდან გამომდინარე შესაბამისი სასწავლო კურსი და პროგრამას დაემატოს თავისუფალი კრედიტის კომპონენტი.

სასურველია, პროგრამის მიზნებისა და შედეგების გათვალისწინებით ძირითად საგნების მოდულს დაემატოს კულტურის სფეროს მართვისა და ზოგადი მენეჯმენტის საგნები.
2.3 პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია, პროგრამის ძირითადი სპეციალობის მოდულს დაემატოს საგანი „საკურატორო საქმე“.
სასურველია, სასწავლო კურსები "ვიზუალური ხელოვნების გამოფენები მუზეუმებში" „სამუზეუმო კოლექციების ინტერპრეტაცია" და „სამუზეუმო ექსპოზიციების დიზაინი“ გაერთიანდეს ერთ ძირითად სასწავლო კურსად.
სასურველია, სასწავლო კურსები „საქართველოს მუზეუმები და მათი კოლექციები და სამუზეუმო ფასეულობების აღრიცხვა-დაცვა“ გაერთიანდეს ერთ ძირითად სასწავლო კურსად.
სასურველია, სასწავლო კურსები „საგანმანათლებლო პროგრამები და საზოგადოებასთა ნურთიერთობა“ და „სამუზეუმო მარკეტინგი“ გაერთიანდეს ერთ სასწავლო კურსად, შემდეგი სახელწოდებით - „მუზეუმის კომუნიკაცია და მარკეტინგი“.
2.6 სასურველია, პროგრამაზე მუშაობის ყველა ეტაპზე იყოს უზრუნველყოფილი დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.
3.1 მიზანშეწონილია, დაიგეგმოს და გატარდეს ღონისძიებები სტუდენტური აქტივობების გაუმჯობესების მიზნით;
4.1 სასურველია, ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით მუშაობის გაძლიერება, პარტნიორების მოძიება, სტუდენტების და პროფესორ-მასწავლებლების ერთობლივ აქტივობებში ჩართულობის უზრუნველყოფა;
4.2 სასურველია, დაწესებულებამ გამოიკვლიოს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საჭიროებანი პროფესიული განვითარების კუთხით და განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები.
4.3 სასურველია, უზრუნველყოფილ იქნეს უახლეს დარგობრივ და პროფესიულ გამოცემებზე და საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე სტუდენტთა ხელმისაწვდომობის გაძლიერება.
4.4 სასურველია, სხვა ფინანსური წყაროების მოძიება-მოზიდვა პროგრამის განვითარების მიზნით.
5.1 სასურველია, შიდა ხარისხის შეფასების მიზნით განხორციელებული კვლევისათვის შემუშავებული კითხვარების შედეგების ანალიზი წარმოდგენილი იყოს ანგარიშის დოკუმენტში ან დანართის სახით;
სასურველია, ბაზრის კვლევის ანალიზი მომზადდეს კონკრეტულად საგანმანათლებლო პროგრამისათვის ბაზრის მოთხოვნებისა და დასაქმების სტატისტიკის მონაცემების გათვალისწინებით.

3. მესამე საკითხი : სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№258054 19.03.2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სამართალი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი

7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 სამართალი/Law
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ.113, უნივერსიტეტის I კორპუსი. საქართველო 0800
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს, წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში და შესაბამისი დანართები. ანგარიშისა და წარმოდგენილი დოკუმენტების შეფასება, თითოეულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით შემდეგნაირია, გაცემული 8 რეკომენდაციიდან, დაწესებულების მიერ 5 სრულად იქნა შესრულებული.

რაც შეეხება პირველ რეკომენდაციას, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია მიემართებოდა პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი მეთოდებით შეფასებისკენ, რაც შესაბამის სპეციფიკურ შინაარსობრივ და ფუნქციონალურ დანიშნულებას მოიცავს და გულისხმობს. პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი მექანიზმი, თვისებრივად, მოიაზრებს თითოეული სწავლის შედეგის შეფასებას კონკრეტული სავალდებულო სასწავლო კურსის ან კურსების სწავლის შედეგის შეფასების შედეგის მიმართებას პროგრამის წინასწარ განსაზღვრულ სწავლის შედეგთან. პროგრამას აქვს სწავლის შვიდი შედეგი, რომელიც შინაარსობრივად კიდევ უფრო ჩაშლილია. პროგრამის სწავლის

შედეგების წარმოდგენლი შეფასების მექანიზმი კვლავ ზოგად სტრატეგიას წარმოსახავს და არ აზუსტებს პროგრამის თუ რომელი სწავლის შედეგის შეფასებისთვის გამოდგება ესა თუ ის სავალდებულო სასწავლო კურსი. წარმოდგენილი მექანიზმი განსაზღვრავს, რომ ზოგადად სასწავლო კურსის საგამოცდო შეფასების საფუძველზე ფასდება, მაგალითად, პროგრამის A შედეგი, ხოლო შეფასებისთვის აღებულია საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის პრაქტიკული კურსი. ბუნებრივია, მხოლოდ ეს კურსები არ და ვერ ჩამოაყალიბებდა პროგრამის ყველა სწავლის შედეგს, რაც პროგრამის კურიკულუმის რუკიდანაც კარგად ჩანს. შეფასების ეს „მოდელი“ კი მიემართება პროგრამის ყველა სწავლის შედეგს. მიზანშეწონილია, რომ პროგრამის კურიკულუმის რუკის მონაცემები, სადაც გაწერილია თუ რომელი სავალდებულო სასწავლო კურსი პროგრამის რომელ სწავლის შედეგზე გადის, გამოყენებულ იქნეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის ხელახალი გაწერისას, რაც უზრუნელყოფს პროგრამის სწავლის შედეგის პირდაპირი მეთოდით შეფასების სწორად სტრუქტურირებას. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ რეკომენდაცია არ არის შესრულებული.

მე-4 რეკომენდაციის შესრულების შეფასების პროცესში გადაიხედა წარმოდგენილი სილაბუსები, საიდანაც გამოიკვეთა კონკრეტული საკითხები. კერძოდ, სასწავლო კურსში „ადმინისრაციული სამართლის პროცესი“ ლიტერატურაში მითითებულია მხოლოდ რიცხვები (1, 2, 3), ხოლო მე-13, მე-14 თემებთან საერთოდ არაფერია მითითებული. ლიტერატურის მსგავსი მითითების ფორმაა გამოყენებული სასწავლო კურსში „გადახდის უუნარობის სამართალი“, რომელსაც, დამატებით, შინაარსობრივად კიდევ ის საკითხი გამოეკვეთა, რომ ის შეცვლილ კანონის რედაქციას, კერძოდ, საქართველოს კანონს „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ არსებითად არ იყენებს. შესაბამისად, ეს სილაბუსი შინაარსობრივად გადასახედია. ლიტერატურა ანალოგიურად არის მითითებული სასწავლო კურსებში: „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა“, „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სამოქალაქო სამართალი“, „კაზუსის ამოხსნა საკონსტიტუციო სამართალი“, „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობა“, „რომის სამართლის საფუძვლები“, „სამოქალაქო სამართლის პროცესი“, „ქართული სამართლის ისტორია“. შესაბამისად, ჩამოთვლილი სასწავლო კურსები, ამ კუთხით, გადასახედია. სასწავლო კურსში „პრაქტიკული სამართლის კლინიკა“ სავალდებულო ლიტერატურა საკმაოდ მოცულობითია, რომელიც, სასურველია შემცირდეს. ასევე, ხსენებული სასწავლო კურსის მე-12 და მე-13 თემა ერთმანეთს ემთხვევა როგორც თემატურად, ისე სავალდებულო ლიტერატურის დონეზეც. სასწავლო კურსში „რომის სამართლის საფუძვლები“ მე-14 და მე-15 თემები ერთმანეთს ემთხვევა. ასევე, სასწავლო კურსში „საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი“ მე-14 და მე15 თემა, რეალურად ერთი და იგივე საკიხთის მომცველია. სასწავლო კურსში „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 1“ მე-13, მე-14 და მე-15 თემები, ფაქტობრივად, ემთხვევა ერთმანეთს და ისინი გადასახედია. სასწავლო კურსში „ქართული სამართლის ისტორია“ მე-12 და მე-13 თემატიკა ერთმანეთს ფარავს - მე-13 თემა მოიცავს მე-12 სალექციო თემატიკას. შედეგად, თემატიკა და ლიტერატურა იმგვარად უნდა გადანაწილდეს, რომ აღმოიფხვრას მათი გამეორება.

წარმოდგენილი რეკომენდაცია 1.2 სტანდარტში გაცემული რეკომენდაციის გამოძახილია, რომელიც რამდენიმე ასპექტის შესრულებას საჭიროებდა იმისათვის, რომ რეკომენდაცია შესრულებულიყო. კერძოდ, შეფასების მეთოდი სწორად უნდა განსაზღვრულიყო პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების ეტაპზე, რაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, არ არის განხორციელებული. ასევე, რეკომენდირებული იყო, რომ შეფასების დრო, ფორმები და სამიზნე ნიშნულები გაწერილიყო. თუმცა, რამდენადაც პირდაპირი შეფასების მეთოდი არასწორად იქნა წარმოდგენილი, ეს უნდა იყოს იმით განმაპირობებელი, რომ შეფასების დრო, შეფასების ფორმა და სამიზნე ნიშნულიც არ არის სრულფასოვნად წარმოდგენილი და ის გადასახედია კვლავ. აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში, არაპირდაპირი შეფასების ნაწილში, სტუდენტთა გამოკითხვა არ არის გათვალისწინებული და ეს ნაწილიც გადასახედია. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულად არ უნდა ჩაითვალოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ირინა გველესიანმა დააზუსტა აქვთ თუ არა სტუდენტებს რესურსებზე თავისუფალი წვდომის შესაძლებლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის მთავარი მიზანია შეასრულოს ყველა რეკომენდაცია. რაც შეეხება ელექტრონულ რესურსებს, დაწესებულების მიერ შეძენილი იქნა აუცილებელი რესურსები, რომლებთან წვდომაც სტუდენტებს აქვთ საბიბლიოთეკო სივრციდან .
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამას ახლავს სწავლის შედეგების შეფასების რუკა, სადაც განსაზღვრულია სხვადასხვა კურსი რომელ შედეგზეც გადის. აქამდე არსებულ მოდელში, დაწესებულება ყველა სასწავლო კურსის მიხედვით აფასებდა სწავლის შედეგებს. უსდ-მ შეიმუშავა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას, სანდოობასა და გამჭვირვალობას. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისათვის გამოყენებულ იქნა საჯარო სამართლის პრაქტიკული კურსი, კერძო სამართლის პრაქტიკული კურსი და სისხლის სამართლის პრაქტიკული კურსი, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცება.
რაც შეეხება თემების გამეორების საკითხს, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსების სილაბუსებში მე-14 და მე-15 თემები ან მე-13, მე-14 და მე-15 თემები ან მე-13 და მე14 თემებში განსახილველი საკითხების დუბლირება აღმოიფხვრა. სასწავლო ლიტერატურა განახლებულია და არ მეორდება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:00
დასრულების დრო: 17:18

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

4. მეოთხე საკითხი : სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ისტორია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№93, 30.09.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ისტორიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0222 History and archaeology / ისტორია და არქეოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	ილია ჭავჭავაძის გამზირი 32, თბილისი, A კორპუსი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვთაცილება განაცხადა-ირინა ლობჟანიძემ

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს, წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის 2011 წლიდან იყო ნაწილი „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ინტერდისციპლინური სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისა. სწავლის სფეროების კლასიფიკატორისა და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შეცვლის შემდეგ, მათთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით, „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ინტერდისციპლინური სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა დაიშალა სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით. ისტორიის მიმართულებით წარმოდგენილ იქნა „ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც შედგება 60 სასწავლო კრედიტისაგან, საიდანაც 48 კრედიტი სავალდებულო, ხოლო 12 კრედიტი არჩევით კომპონენტებს ეთმობა. კვლევითი კომპონენტის სახით მოცემულია სადოქტორო ნაშრომი. ისტორიის სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია, პროგრამა თავისი შინაარსითა თუ სტრუქტურით უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია – ისტორიის დოქტორი – შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, თუ რამდენი სტუდენტი სწავლობს მოცემულ პროგრამაზე და რამდენმა სტუდენტმა დაიცვა ბოლო სამი წლის განმავლობაში დისერტაცია.
საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა დააზუსტა თუ როდის ხდება სადოქტორო ნაშრომი თემისა და ხელმძღვანელის დამტკიცება. ასევე, საბჭოს წევრმა დააზუსტა წარმოადგენს თუ არა ,,სადოქტორო სემინარი“ სასწავლო კურსს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამაზე სწავლობს 14 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, აქედან ორი სტუდენტი მიღებულია საერთაშორისო სადოქტორო სკოლის ფარგლებში და სწავლების დასრულების შემდეგისინი მიიღებენ ორმაგ დიპლომს. ერთ-ერთი სტუდენტი მიღებულია ინდივიდუალური ხელშეკრულების საფუძველზე. რაც შეეხება დაცულ დისერტაციებს, ბოლო სამი წლის განმავლობაში დისერტაცია დაიცვა ოთხმა დოქტორანტმა.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ კურიკულუმში გათვალისწინებულია სადოქტორო სემინარი 1 და სადოქტორო სემინარი 2, რომელიც არის სასწავლო კომპონენტი, თითო 6 კრედიტიანი. აღნიშნული სასწავლო კურსების შემდეგ სტუდენტი იცავს პროსპექტუსს. დარგობრივი სემინარი არის ასევე სასწავლო კომპონენტი, რომელიც წარმოადგენს კონცეფციას. პროგრამა არის 60 კრედიტიანი და სტუდენტს აქვს შესაძლებლობა აიღოს კიდევ ერთი სასწავლო კურსი თემიდან გამომდინარე, რაც არის არჩევითი. ამ შემთხვევაში მუშაობა მიდის იმასთან დაკავშირებით, რომ სტუდენტმა გაიღრმავოს და დააზუსტოს ყველა ის ასპექტი რაც მას შემდეგ დასჭირდება ნაშრომისთვის. მოცემულ სასწავლო კომპონენტში გაწერილია ყველა ეტაპი რისთვისაც უნდა ემზადებოდეს სტუდენტი, რაც მერე აისახება პროსპექსტუსში.

რაც შეეხება თემის დამტკიცების საკითხს, პროგრამაზე მიღება ხორციელდება შემდეგნაირად, კანდიდატი აბარებს ინგლისურ ენაში გამოცდას, ასევე კვლევით განაცხადს და შემდგომ წარმოადგენს პრეზენტაციას დარგობრივი საბჭოს წინაშე. მიღების შემთხვევაში კი პირველივე სემესტრში მტკიცდება სადისერტაციო ნაშრომის სათაური და ხელმძღვანელი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:33
დასრულების დრო: 17:50

დამაზუსტებელი შეკითხვისთვის, საბჭო დაუბრუნდა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ისტორიის“ სადოქტორო პროგრამაზე დაწყებული არაგეგმური მონიტორინგის საკითხს და საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს ესაუბრათ სადოქტორო სემინართან დაკავშირებით, შესაბამისად, დააზუსტა თუ რამდენად ითვალისწინებს სემინარი ნაშრომის კვლევის ელემენტებს?

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამაზე მიღება ხდება კვლევითი განაცხადით, რაც ნიშნავს იმას, რომ თავიდანვე დოქტორანტმა იცის მისი ინტერესის სფერო და საკვლევი თემა. როდესაც დოქტორანტი მიიღება პროგრამაში, პირველი მისი წელი იწყება სადოქტორო სემინარებით, რომელიც გულისხმობს ორ სასწავლო კურსს. ამ კურსებში სტუდენტი აგრძელებს მუშაობას თავის განაცხადზე, იმ მხრივ რომ გაიღრმავოს ცოდნა სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც იქნება მისი კვლევითი ინტერესის რელევანტური. მეორე სემესტრის ბოლოს კი ხდება პროსპექტუსის წარდგენა. პროსპექტუსი არ არის პირდაპირ სადოქტორო ნაშრომის ნაწილი, აღნიშნული არის კვლევის გეგმის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც სტუდენტი დეტალურად ადგენს თუ რა უნდა იკვლიოს. პროსპექტუსი არის მეორე სემინარის დასკვნითი შეფასება, რომელსაც სტუდენტი წარადგენს წერილობით. მისი წარდგენა ხდება არა მხოლოდ ხელმძღვანელთან, არამედ დარგობრივი კომისიის წინაშეც.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:07
დასრულების დრო: 18:20

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ისტორიის“ სადოქტორო პროგრამაზე დაწყებული არაგეგმური მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - ილიას სახელმწიფო

უნივერსიტეტის „ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ „ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

18:22- საბჭოს სხდომა დატოვა მაკა კაჭარავამ

5.მეხუთე საკითხი : სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	პოლიტიკის მეცნიერება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№93, 30.09.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 Political Sciences and Civics / პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	ილია ჭავჭავაძის გამზირი 32, თბილისი, A კორპუსი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

18:28- საბჭოს სხდომას შეუერთდა ლევან მოსახლიშვილი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა- ირინა ლობჟანიძემ

საფუძელი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის "პოლიტიკის მეცნიერების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთან შესაბამისობის შემოწმება განხორციელდა არაგეგმიური მონიტორინგის გზით დისტანციურ ფორმატში. არაგეგმიური მონიტორინგის განხორცილების მიზნით გაზიარებული დოკუმენტაცია მოიცავს როგორც დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, რომლის საფუძველზეც განხორციელდა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობის შეფასება, ასევე ცენტრის მიერ მოწოდებულ საორგანიზაციო მასალებს. შესაბამისად, შეფასდა I სტანდარტი, II სტანდარტი და IV სტანდარტი. ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით გამოითხოვა პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ყველა სტანდარტი სრულიად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.
პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა შემუშავდა 2011 წელს და განახლდა 2021 წელს. პროგრამის განახლება შესაძლებელია ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე, პროგრამისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში კურსდამთავრებულს ენიჭება პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის კვალიფიკაცია (0312). გამომდინარე იქიდან, რომ ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამა დაიშალა და მასში შემავალი თითოეული მიმართულება ჩამოყალიბდა ცალკეულ პროგრამად, განახლებული კონცეფციის მიხედვით, პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა ფარავს დისციპლინის ოთხ ქვედარგს: პოლიტიკის ფილოსოფია (მეთოდოლოგიური საკითხების ჩათვლით), შედარებითი პოლიტიკა, საჯარო პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები.
აღსანიშნავია ასევე პროგრამის საუკეთესო პრაქტიკა, კერძოდ პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საერთაშორისო თანამშრომლობას, რასაც კრიტიკული მნიშვნელობა აქვს დოქტორანტის მიერ მაღალი ხარისხის კვლევის მომზადებისა და ახალი ცოდნის შექმნისათვის. აქედან გამომდინარე, დოქტორანტების ჩართულობა თანამშრომლობის პროექტებში მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან უზრუნველყოფს მათი გამოცდილების სისტემატიურ გაზიარებასა და

გამოყენებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ პროცესში საერთაშორისო ექსპერტთა საბჭოს საკვანძო როლი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:35
დასრულების დრო: 18:42

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერების“ სადოქტორო პროგრამაზე დაწყებული არაგეგმური მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ „პოლიტიკის მეცნიერების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

6. მეექვსე საკითხი : ა(ა)იპ „ჯიპა“ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№30, 23.06.2017
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ეკონომიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის ბაკალავრი

10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ეკონომიკა, 0311
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0114, გორგასლის ქ. N101ა
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესისაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს, წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგი განხორციელდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით. ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება განხორციელდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე. ექსპერტების მიერ შეფასდა პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ფარგლებში შეფასდა პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტი. შეფასების შედეგად დადგინდა, რომ ყველა სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. თუმცა 1.2, 2.3 და 4.1 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 2017 წელს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 23 ივნისის #30 გადაწყვეტილებით მიენიჭა აკრედიტაცია. წარმოდგენილი პროგრამის

მიზანია სტუდენტს შესძინოს: 1. ფართო თეორიული ცოდნა ეკონომიკაში, რომელიც მოიცავს ეკონომიკის მიკრო, მაკრო, საერთაშორისო და რეგიონულ დონეებს; 2. სახელმწიფო ინსტიტუტების, საწარმოთა და შინამეურნეობების მიერ ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკული ასპექტების ცოდნა; 3. ეკონომიკური ანალიზის სტატისტიკური და ეკონომეტრიკული მეთოდების ცოდნა. პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, რომელიც გაწერილია 4 წელზე ანუ 8 სემესტრზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში ზოგიერთი სწავლის შედეგების ფორმულირების დახვეწა აქტიური ზმნების გამოყენებით;
2. რეკომენდებულია, ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ფომულირების დახვეწა აქტიური ზმნების გამოყენებით;
3. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების ,,რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა“ და ,,შესავალი ეკონომიკაში“ სწავლის შედეგების მიღწევის დონის შესაბამისობაში მოყვანა.
4. რეკომენდებულია, სასწავლო კურსის ,,საქართველოს ეკონომიკა“ ლიტერატურის და შინაარსის განახლება;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ დაწესებულება ეთანხმება ექსპერტთა პოზიციას პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომ უმჯობესია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ფორმულირებული იყოს ზმნის აქტიური ფორმებით, რის გამოც დაიხვეწა-მოდიფიცირდა პროგრამის 1-ლი, მე-2 და მე-5 შედეგი და გაიწერა ზმნის აქტიური ფორმით.
რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, დასკვნის პროექტის მიხედვით სასწავლო კურსებში: „ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა“, „ეკონომიკური დოქტრინები“, „გლობალიზაცია“, „კალკულუსი 1“ და „კალკულუსი 2“ საჭიროა სწავლის შედეგების აქტიურ ზმნებში გაწერა, რაც უკვე გათვალისწინებულია. თითოეულ სასწავლო კურსში შესაბამისი ცოდნა, უნარები და ავტონომიურობა/პასუხისმგებლობა წარმოდგენილია ბლუმის ტაქსონომიის აქტიური ზმნებით.
მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ, რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა“ წარმოადგენს მე-6 სემესტრის სავალდებულო სასწავლო კურსს, რომლის წინაპირობაცაა „ეკონომიკის შესავალი“. გარდა ამისა, აღნიშნული კურსის გავლამდე სტუდენტები ეუფლებიან პროგრამით გათვალისწინებულ ისეთ სასწავლო კურსებს, როგორებიცაა მიკრო და მაკრო ეკონომიკა, ეკონომიკური ისტორია და ეკონომიკური დოქტრინები, ბიზნესის საფუძვლები და სხვა. შესაბამისად, ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა დაგეგმილია უმაღლესი განათლების დიდაქტიკის პრინციპების - ზოგადიდან კერძოსკენ და მარტივიდან რთულისკენ სწავლების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს დაწყებით სემესტრებში სწავლის შედეგებზე გასვლას გაცნობით დონეზე, ხოლო შემდეგ გაღრმავებისა და განმტკიცების დონეებზე გასვლას. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციის გათვალისწინებით უკვე დაიხვეწა აღნიშნული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, რაც ტექნიკურად არ იყო აქტიური ზმნებით გაწერილი, რამაც შესაძლოა გააჩინა შეკითხვა თუ როგორ გაიზომებოდა აღნიშნული კურსის ფარგლებში სწავლის შედეგების მიღწევა. რაც შეეხება სასწავლო კურსს ,,შესავალი ეკონომიკაში“, აღნიშნული საგანი მიზნად ისახავს ეკონომიკის მომავალი ბაკალავრებისთვის ეკონომიკის ძირითადი პრინციპების

ცოდნის გადაცემას. ამ საგნის სწავლების ინტერაქტიურ ფორმატში სტუდენტს პირველად უხდება ეკონომიკური მოვლენების კრიტიკულად გააზრება, რაც ხელს უწყობს დამოუკიდებლად აზროვნების უნარის ჩამოყალიბებას და ეხმარება მას დამოუკიდებლად განსაზღვროს ეკონომიკის სფეროში ცოდნის შემდგომი გაღრმავების საჭიროება. გარდა ამისა, სემინარული მეცადინეობების პროცესში სტუდენტი ეჩვევა საკუთარი აზრების არგუმენტირებულად ჩამოყალიბებას და კრიტიკის მიღებას, პრაქტიკული მაგალითების ჯგუფური განხილვის დროს კი აცნობიერებს ინდივიდუალურ და კოლექტიურ პასუხისმგებლობას, აგრეთვე საქმიანობის ეთიკის ნორმების დაცვით წარმართვის აუცილებლობას.
ანალოგიურად, „ეკონომიკური ისტორიის“ კურსშიც სასემინარო დისკუსიებისა და ჯგუფური მუშაობის ფარგლებში უზრუნველყოფილია სტუდენტისთვის ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის გამომუშავება, რათა პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით სტუდენტმა უზრუნველყოს განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობის წარმართვა. აქედან გამომდინარე, სასწავლო კურსებში ,,ეკონომიკის ისტორია“ და ,,შესავალი ეკონომიკაში“ პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის სწავლის შედეგებზე გასვლის უფრო ნათლად წარმოდგენის მიზნით შეიცვალა სწავლის შედეგების ფორმულირება აქტიური ზმნებით
რაც შეეხება მე-4 რეკომენდაციას, საგნის სილაბუსში, როგორც სავალდებულო ლიტერატურა, მითითებულია 10 წლის წინ გამოცემული კოლექტიური მონოგრაფია ,,საქართველოს ეკონომიკა“, რაც არ ნიშნავს იმას, რომ კურსის ფარგლებში აქცენტი არ კეთდება საქართველოს ეკონომიკის თანამედროვე პროცესებზე. უნდა აღინიშნოს, რომ ეს წიგნი ფაქტობრივად ერთადერთია, რომელშიც სისტემურად არის გადმოცემული საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურა და მისი რესურსული ბაზა, ამიტომ მას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. მეორე მხრივ, საგნის ლექტორი ლექციის დროს რეგულარულად იყენებს კურსის ცალკეულ თემებზე არსებულ არაერთ ახალ პუბლიკაციას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:57
დასრულების დრო: 19:05

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ „ჯიპა“ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული არაგეგმური მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ა(ა)იპ „ჯიპა“ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულდა 19:10 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით